პრევენცია პროგრესისთვის

PREVENTION FOR PROGRESS

სტრატეგია 2022 - 2024

თბილისი
2022

ორგანიზაციის შესახებ

ა(ა)იპ "პრევენცია პროგრესისთვის" (PPF) (დაფუძნებისას „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის) დაფუძნდა 2013 წლის დეკემბერში. 2013-2021 წლებში, ორგანიზაცია საქმიანობას ახორციელებდა სახელწოდებით „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის", ხოლო 2022 წლის დასაწყისში განხორციელდა მისი რებრენდინგი და საქმიანობას განაგრძობს ახალი სახელწოდებით.

ორგანიზაციის მიზანია მოწყვლადი ჯგუფების ადვოკატირება, მათი რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების უფლებების დაცვა, ბავშვთა კეთილდღეობისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარების ხელშეწყობა, ქვეყანაში სამოქალაქო აქტივიზმის განვითარების ხელშეწყობა, კრიმინალური სუბკულტურის წარმოშობის მიზეზების კვლევა, მისი ტრანსფორმაციისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის განსაზღვრის მხარდაჭერა.

მისიის განაცხადი

ხედვა

ჩვენ გვსურს ისეთი გარემოს შექმნა სადაც ბავშვთა, ქალთა, უმცირესობებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა გაუმჯობესებელია, უზრუნველყოფილია კანონის უზენაესობა და მოქალაქეთა თანასწორობა, უკეთ არის განვითარებული როგორც მართლმსაჯულების სისტემა, ასევე ბავშვთა კეთილდღეობის სფერო, მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართულნი მათ ბედთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში და უზრუნველყოფილია როგორც გამჭვირვალე საჯარო მმართველობა, ასევე მოქალაქეთა მიმართ ანგარიშვალდებულება.

მისია

ამისათვის ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს განვითარებას, ქალთა უფლებების დაცვას, პენიტენციური და პრობაციის სისტემის რეფორმას, სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას, აქტივიზმის ორგანიზებული ფორმებისა და პოზიტიური ცვლილებების ადვოკატირების მიმართულებით.

ფასეულობა

ჩვენი ფასეულობებია:

- თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობები ყველა მოქალაქისთვის;
- მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;
- ორიენტაცია ბენეფიციარის საჭიროებებზე;
- პროფესიონალიზმი და დროული რეაგირება;

ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება გულისხმობს ისეთი **სისტემის** შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებას და ხელს უწყობს სისხლის სამართლის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სათანადო რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება უზრუნველყოფს არა მხოლოდ ბავშვთა უფლებებისა და ჭეშმარიტი ინტერესების დაცვას, არამედ ემსახურება საზოგადოების გრძელვადიან ინტერესებს, მათ შორის საზოგადოებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას, განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას, ასევე საზოგადოებაში დადებითი ღირებულებების მქონე და კანონმორჩილი ახალგაზრდების დაბრუნებას.

სამიზნე ჯგუფი:

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული უწყებები;
- კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები და ახალგაზრდები;
- მოწმე და დაზარალებული ბავშვები.

მოსალოდნელი შედეგი:

- მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვზე მორგებული გარემოს ჩამოყალიბება;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოქმედი სპეციალისტების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება;
- ნორმატიული ბაზის მორგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე.

ღონისძიებები:

1.1. ადვოკატირება და სხვადასხვა სახის კვლევით საქმიანობა. *ვგეგმავთ ვიკვლიოთ 10-14 წლამდე პირებში დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირთა რეფერირების მექანიზმნის გაუმჯობესება;*

1.2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი და ადვოკატირება ხარვეზების გამოსწორებისათვის. *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მუდმივი მონტორინგის გაგრძელება.*

1.3. არასრულწლოვნებთან დაკავშირებით, პრევენციის კომპონენტის გაძლიერება. მათი მხარდაჭერის საჭიროებების ადრეული იდენტიფიცირება და შესაბამისი სერვისების მიწოდების ხელშეწყობა მეორე და მესამე დონის პრევენციის მიმართულებით;

2. ბავშვთა კეთილდღეობა

ბავშვთა კეთილდღეობა არის ინიციტივების და პოლიტიკის ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას, მათ დაცვას სიღარიბის მავნე გავლენისგან, ბავშვთა მიმართ ოჯახური და სხვა სახის ძალადობისა და უზულვებელყოფისგან.

სამიზნე ჯგუფი:

- ბავშვები;
- რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფის ბავშვები;
- ბავშვთა კეთილდღეობის დარგში მოქმედი ინსტიტუციები და პერსონალი.

მოსალოდნელი შედეგი:

- არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციული მექანიზმები გაუმჯობესებულია;
- ბავშვის საჭიროებაზე მორგებული სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა;
- ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება.

ღონისძიება:

2.1. ბავშვთა დევიაციური ქცევის კრიმინოლოგიური კვლევა. შესწავლილ იქნება 10-14 წლის ბავშვების დევიაციური ქცევის გამომწვევი მიზეზები, შემუშავდება რეკომენდაციები რეინტეგრაცია პრევენციისათვის. ასევე მოხდება არასრულწლოვანთა სერვისების ანალიზი და არსებული სისტემის დახვეწის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

2.2. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიუღწეველ და რთული ქცევის მქონე ბავშვთა პრობლემების მართვის, მათი რეფერირების და სერვისების ხელმისაწვდომობის სისტემის განვითარება.

2.3. გააქტიურდება ადვოკატირება პრევენციული პოლიტიკის მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართვის კუთხი*;*

2.4. მანდატურის სისტემის დახვეწა სკოლებში. სკოლებში სოციალური მუშაკისა და სპეც.პედაგოგის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მხარადჭერა;

2.5. დევიაციური ქცევის ბავშვთა რეფერირების მექანიზმის შემუშავებაში მონაწილეობა. დევიაციური ქცევის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის ფარგლებში, შემუშავდება რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად დაისახავს რეფერირების უფრო ქმედითი და ბავშვის საუკეთესო ინტერესზე მორგებული სისტემის ჩამოყალიბებას;

2.6. ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მოქმედი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება (სოცმუშაკი, პედგოგი, მანდატური), ცალკეული უწყებების საქმიანობის ძირეული შესწავლა და მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიმართულებით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. ორგანიზაციის ექსპერტები უშუალოდ ჩაერთვებიან ცალკეული უწყებების (ამ ეტაპზე რეფერირების ცენტრის) მიერ კონკრეტული სერვისების, შეფასების დოკუმენტების შექმნასა და პილოტირებაში, გაუწევენ მათ საექსპერტო დახმარებას და განახორციელებენ სხვა საჭირო საქმიანობას უწყების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით.

2.7. ორგანიზაცია შეისწავლის ქვეყანაში ახალგაზრდებს შორის სუიციდის სტატისტიკას, შეაფასებს სტატისტიკის სანდოობას და განსაზღვრავს რეკომენდაციებს ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებების კუთხით. ორგანიზაცია აქტიურად შეეცდება ადვოკატირება გაუწიოს სუიციდის პოლიტიკის განსაზღვრის პროცესის დაწყებას და სწორი

მიმართულებით განვითარებას, ასევე გარკვეული პერიოდის მანძილზე ახალგაზრდებსა და მათ ოჯახებს უზრუნველყოფს სუიციდის პრევენციის პირველადი ონლაინ სერვისით.

3. ქალთა უფლებები

ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც თავისუფალია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და ქალთა მიმართ ძალადობისგან და უზრუნველყოფს ქალებს თანასწორი უფლებებითა და შესაძლებლობებით.

სამიზნე ჯგუფი:

- კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალები;
- ძალადობის მსხვერპლი ქალები;
- უმცირესობის წარმომადგენელი ქალები;
- დისკრიმინაციულ მიდგომას დაქვემდებარებული ქალები და გოგოები;
- გოგოები, რომლებიც სვადასხვა სპეციალისტთა მხარდაჭერას საჭიროებენ;
- ქალები და გოგოები, რომლებიც გენდერული სტერეოტიპების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ.

მოსალოდნელი შედეგი:

- მართლმსაჯულების სისტემაში გენდერ-სპეციფიკური მიდგომების უფრო აქტიურად გამოყენება;
- ბენეფიციარების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.
- თანასწორი გარემოს შექმნა და განვითარების თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ქალებისთვის;
- გენდერული სტერეოტიპების გავლენის შემცირება საზოგადოებაში;
- ე.წ. „რთული წცევის მქონე“ გოგოების რეინტეგრაცია საზოგადოებაში;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენცია;

ღონისძიება:

3.1. დახურულ ინსიტუციებში მყოფი ქალების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება სხვადასხვა სერვისის მიწოდებით (არტ-თერაპია, მუსიკალური თერაპია და სხვა);

3.2. იგეგემება რეფერირების ცენტრსა და მანდატურის სამსახურში გადამისამართებული გოგოებისა და პრობაციონერი გოგოების რეინტეგრაციის ხელშეწყობა სხვადასხვა სერვისების (მათ შორის არტ თერაპიის) საშუალებით.

3.3. პოლიტიკის დოკუმენტების ცვლილება, რათა მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული გოგონათა და ქალების სპეციფიური საჭიროებები.

3.4. გოგონათა აქტივიზმის ხელშეწყობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამამაკაცების თანასწორად მათი ჩართვის ადვოკატირება.

4. პენიტენციური და პრობაციის სისტემა

პენიტენციური და პრობაციის სისტემა აერთიანებს პენიტენციურ დაწესებულებებს და პრობაციის ბიუროებს და უზრუნველყოფს როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებას. ამ მიმართულების მთავარი მიზანია, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა, რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

სამიზნე ჯგუფი:

- პატიმრები (ბრალდებული და მსჯავრდებულები);
- პრობაციონერები;
- პენიტენციური და პრობაციის სისტემა და პერსონალი.

მოსალოდნელი შედეგი:

- მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების სისტემა (გარდამავალი მენეჯმენტის სისტემა) გაუმჯობესებულია;
- პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში სერვისების ხელმისაწვდომობა გაზრდილია;
- პენიტენციური და პრობაციის სისტემის თანამშრომლები კვალიფიკაცია გაუმჯობესებულია;
- პენიტენციური და პრობაციის სისტემის რეფორმის მიმდინარეობის შედეგები შეფასებულია და გამოიყენება სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;
- პენიტენციურ დაწესებულებებში უზრუნველყოფილია პატიმართა მიმართ თანასწორი მოპყრობა და ძალადობისაგან თავისუფალი გარემო.
- ნაკვლევია ის გარემოებები, რაც ხელს უწყობს პენიტენციურ დაწესებულებებში კრიმინალური სუბკულტურის არსებობას და გაძლიერებას.

ღონისძიება:

4.1. სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა. პენიტენციურ დაწესებულებებში გავაგრძელებთ საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას და ახალი სერვისების დანერგვის ადვოკატირებას(არტ-თერაპია);

4.2. პრობაციის სისტემის თანამშრომელთა გადამზადება. პრობაციის სისტემაში განხორციელდება სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გადამზადება არტ-თერაპიის ტრენერობის გაუმჯობესების კუთხით;

4.3. პენიტენციური და პრობაციის სისტემის რეფორმის მიმდინარეობის გაგრძელდება კონკრეტული მიმართულებების კომპლექსური ანალიზი. უნდა გაგრძელდეს პენიტენციური და პრობაციის რეფორმის დეტალური ანალიზი (საკანონმმდებლო ჩარჩო, პოლიტიკის დოკუმენტები და ა.შ.) პერიოდულად განხორციელდება ანალიზის დროს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწოების ადვოკატირება.

4.4. ორგანიზაცია გეგმავს როგორც პენიტენციურ დაწესებულებებში, ასევე მის გარეთ კრიმინალური სუბკულტურის ხელშემწყოფი გარემოებებისა და მხარდამჭერი განწყობების შესწავლას და მათი მინიმიზების გზების ძიებას.

4.5. ორგანიზაცია გეგმავს პენიტენციურ სისტემაში არსებული სამედიცინო სერვისების განვითარების ხელშეწყობას, განსაკუთრებით COVID-19-ის საპასუხოდ განხორციელებული

საქმიანობის შეფასების კონტექსტში, ასევე პანდემიის კონტექსტში პენიტენციურ სისტემაში არსებული შეზღუდვებისა და პროცედურების მიზანშეწონილობის შეფასებას.

5. სამოქალაქო აქტივიზმისა და რეგიონული პოლიტიკის განსაზღვრაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა

ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, იქნება სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა, ვინაიდან პოზიტიური ცვლილებების მიღწევის კუთხით მოქალაქეთა ჩართულობისა და მონაწილეობის როლი განუზომლად დიდია. ორგანიზაცია იმუშავებს მოქალაქეებთან, მათ შორის ახლაგაზრდებთან, ქალებთან, უმცირესობების წარმომადგენლებთან, რათა მისცეს მათ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის მოტივაცია, განუმარტოს მათ ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების მნიშვნელობა და მიაწოდოს ინფორმაცია ინიციატივების განხორციელებისა და ადვოკატირების სხვადასხვა გზებსა და მეთოდებზე. ამ ტიპის აქტივობები განხორციელდება არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

სამიზნე ჯგუფი:

თბილისისა და რეგიონების მოსახლეობა, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ახალგაზრდებზე, რომლებსაც შეუძლიათ ცვლილებების აგენტის როლის შესრულება სათემო დონეზე. ორგანიზაცია შეეცდება გაზარდოს ახალგაზრდების ცნობიერება მათი საჭიროებების ადვოკატირებისა და პოზიტიური ცვლილებების მიღწევის მიმართულებით.

მოსალოდნელი შედეგები:

როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში იარსებებს საზოგადოების საინიციატივო ჯგუფები, სათემო აქტივისტთა ჯგუფები, ახალგაზრდები, რომლებიც ფლობენ საკუთარი სურვილების, საჭიროებების გადმოცემის უნარს, ფლობენ ინფორმაციას საკუთარი მიზნების მისაღწევად არსებული რესურსებისა და გზების შესახებ, რაც გულისხმობს სამოქალაქო აქტივიზმის არაძალადობრივი ფორმების სრულად და ეფექტიანად გამოყენებას, ასევე ადგილობრივი სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებების განხორციელების დაფინანსების მოპოვების გზების ძიებას.

ღონისძიებები:

- სამოქალაქო აქტივიზმის პოპულარიზაციის მიზნით, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;
- სამოქალაქო აქტივიზმის არსებული ფორმების, მიზნის არაძალადობრივი გზით მიღწევის ოპტიმალური გზების, დაფინანსების წყაროების, კონსტრუქციული თანამშრომლობისა თუ არაძალადობრივი ზეწოლის მექანიზმების შესახებ თბილისსა და რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის გადამზადება;
- სამოქალაქო აქტივიზმში ქალთა ჩართულობის გაზრდა და ხელშეწყობა, განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება რეგიონის მოსახლეობაზე, ეთნიკურ უმცირესობებზე სადაც კიდევ უფრო ფესვგადგმულია დისკრიმინაციული სტერეოტიპული მიდგომები და პრაქტიკები და ქალებისა და გოგოებისთვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მიღწევა უფრო რთულია.

- ადგილობრივ სამოქალაქო აქტივისტებთან თანამშრომლობა, მათი გაძლიერება და ერთობლივი ადვოკატირების ღონისძიებების დაგეგმვა სხვადასხვა ტიპის პროექტების განხორციელების პროცესში
- ორგანიზაციის რეგიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბება და რეგიონებში ცნობადობის გაზრდა.

5. ტრენინგი და სერვისი

პრაქტიკული და ვიწრო სპეციალიზაციის კურსები, რომელსაც RIVG შესთავაზებს მართლმსაჯულების სფეროთი დაინტერესებულ პირებს, რომლებიც უკვე დასაქმებულებიან არიან საჯარო სივრცეში (მაგ.: ბავშვთა ახალგაზრდობის ცენტრი, პენიტეციური დაწესებულება და სხვა.) ან სამომავლოდ აქვს მიზანი ამ სივრცეში დასაქმების, ასევე არასამთავრობო სექტორს, ამ სფეროში სპეციალიზაციის მიზნით.

სამიზნე ჯგუფი:

- სტუდენტები (იურისტები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები);
- მოქმედი სპეციალისტები (სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები, იურისტები, ადვოკატები და სხვა.);
- სფეროთი დაინტერესებული პირები;
- მართლმსაჯულების სიტემაში ჩართული სამინისტროები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;

მოსალოდნელი შედეგი:

- ორგანიზაციას აქვს მუდმივი ფინანსური შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას, მიმდინარე პროექტებისგან დამოუკიდებლად;
- ორგანიზაციამ გაიჩინა ახალი მიმართულება, ახალი ექსპერტიზა არსებულ ბაზარზე;
- ორგანიზაციამ გააფართოვა თავისი ადამიანური რესურსი, მიიღო ახალი თანამშრომლები, (მოწვეული სპეციალისტები, ამ მიმართულების კოორდინატორი და სხვა);

ღონისძიება:

5.1. გამოიყოს ყოველთვიურად სამუშაო დრო, ამ მიმართულების გასამართად; (ჩამოყალიბდეს კონკრეტული ხედვა, გაიწეროს პასუხისმგებლობები და სხვა);
5.2. მოვიძიოთ შესაბამისი დონორი ორგანიზაციები;
5.3. დაიწეროს პროექტი, გაიწეროს ბიუჯეტი;
5.4. მოიძებნოს შესაბამისი სივრცე, ახალი ოფისი;
5.5. დამუშავდეს მოდულები, მოვიძიოთ სპეციალისტები.

შესაძლებლობა

- პოლიტიკური ნება. რეფორმების პოლიტიკური ნება გამოხატულია, რაც ვლინდება უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მიერ გაკეთებულ საჯარო განცხადებებში და ცალკეულ პრაქტიკულ ნაბიჯებში;
- სამოქალაქო სექტორის აქტიურობა. ამ სფეროში მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციები არიან აქტიურები და არსებობს ერთობლივი ადვოკატირების პოზიტიური გამოცდილება;

- მრავალმხრივი საჭიროება. არსებობს მრავალი საჭიროება, რომელიც ითხოვს მოგვარებას და რაც მოთხოვნის საგანია. ორგანიზაციის საქმიანობის არეალი მოიცავს მრავალმხრივ საჭიროებებს, გამომდინარე აქედან, ორგანიზაციას ეძლევა სხვადასხვა მიმართულებით ჩარევის განხორციელების შესაძლებლობა;
- ამ სფეროში მოქმედი ექსპერტების ნაკლებობა /ექსპერტიზის ნაკლებობა. ორგანიზაციის წევრებს აქვთ მართლმსაჯულების სფეროში დიდი გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს მათ/ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობას.
- დონორების ინტერესი ამ დარგში მაღალია. აღნიშნული მიმართულებით წამყვან დონორს წარმოადგენს ევროკავშირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს მართლმსაჯულებისა და პენიტენციური სისტემის რეფორმას საქართველოში.

საფრთხე

- ინსიტუციური კულტურა. იმ დაწესებულებებში /სფეროში სადაც ცვლილებები უნდა განხორციელდეს წინააღმდეგობა რეფორმის მიმართ „შიგნიდან“ დიდია. რიგ დაწესებულებებში თანამშრომლები არ არიან მზად არსებული სისტემის შესაცვლელად, რაც აფერხებს არსებული სისტემის რეფორმირებას;
- მაღალი კონკურენცია. დარგში მრავალი სამოქალაქო ორგანიზაციაა, სფეროც ვიწროა და ეს იწვევს კონკურენციას დაფინანსებისათვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვან გამოწვევას კონკურენცია წარმოადგენს, რაც განპირობებულია იმ ორგანიზაციების მაღალი ინტერესით, რომლებიც წლების განმავლობაში მართლმსაჯულების სფეროში საქმიანობენ;
- ადგილობრივი რესურსების ნაკლებობა (სიღარიბე). ადგილობრივი ბიუჯეტიდან არ ხდება თანხების გამოყოფა საჭირო სერვისებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად დამოკიდებულნი არიან საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ფინანსურ მხარდაჭერაზე.
- სამოქალაქო სექტორის ცნობადობა დაბალია. კერძოდ, სამოქალაქო სექტორის საქმიანობა არ არის იმდენად აქტიური რეგიონებში, რის გამოც მართლმსაჯულების სფეროში მოქმედი ორგანიზაციები დიდ გავლენას ვერ ახდენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პოლიტიკის განსაზღვრაზე.

ინსტიტუციური გარემო (პარტნიორები)

- **ადგილობრვი და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები:** სახალხო დამცველი ოფისი, საქართველოს წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი, ციხის საერთაშორისო რეფორმა, სამოქალაქო განვითარების სააგენტო, პარნიორობა ადამიანის უფლებებისათვის, სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თანადგომა, World Vision -ი, გაეროს ბავშთა ფონდი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, კოალიცია დამოუკიდებელი მართლმსაჯელბისათვის, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში.

- **დონორი ორგანიზაციები.** გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, ჰოლანდიის სალეჩო, ქალთა ფონდი, World Vision -ი, შვეიცარიის ჰუმანიტარული დახმარების ოფისი, გაეროს ბავშვთა ფონდი; ფონდი ღია საზოგადოება საქართველო და ევროკავშირი.
- **სხვადასხვა უწყებები.** იუსტიციის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, სოციალური მომსახუების სააგენტო, შსს, მთავარი პროკურატურა, უზენაესი სასამართლო, იურიდიული დამხარების სამსახური, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტი.

ორგანიზაციის შეფასება

ძლიერი მხარე

- ბიუჯეტის მართვა ხორციელდება სწორად. მაგალითად, გაუთვალისიწნებელი ხარჯები იშვიათია;
- სახეზეა ფინასური მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, რაც დადებითად აისახება ფინანსურ მართვაზე;
- ოფისი (მართალია მცირე ზომის) მაგრამ არსებობს;
- ხელმისაწვდომია საოფისე ტექნიკა (მაგალითად, ქსეროქსი და სხვა);
- გამოცდილება იმ სფეროში რომელშიც საქმიანობას ახორციელებს და რეპუტაცია, რომელიც ამ წლებში შეიქმნა (როგორც ფინანსური მართვის ასევე კომპეტენციის /კვალიფიკაციის მხრივ);
- პერსონალი თავის საქმეს ასრულებს პასუხისმგებლობით, დროულად, ხარისხიანად;
- პერსონალი მუშობს როგორც გუნდი - კოლეგიალურად, ერთმანეთის დახმარებით;
- მოტივაცია მაღალია - სურთ გააგრძელონ საქმიანობა, პრინციპულად იცავენ საკუტარ პოზიციას, კოლეგებს შორის არსებობს ნდობა და თანადგომა;
- თანამშრომლები არიან სანდო, იცავენ პროფესიულ სტანდარტებსა და ბენეფიციარებისა თუ რესპონდენტების პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას.
- ორგანიზაცია გარკვეული პერიოდულობით ატარებს ორგანიზაციული საქმიანობის აუდიტს, რაც უზრუნველყოფს დონორებისა და პარტნიორების ნდობის გაზრდას ორგანიზაციის ფინანსური მართვის ხარისხისა და გამჭვირვალობის მიმართ.

სუსტი მხარე

- ფონდების მოძიების სირთულე. არ არის განსაზღვრული ცალკე ადამიანი, რომელიც პასხუსიმგებელი იქნება ფონდების მოძიებაზე დარომელიც იქნებოდა ინფორმირებული ფონდების, დაფინანსების არსებული შესაძლებლობების შესახებ, ასეთის იდენტიფიცირების შემთხვევაში სხვა თანამშრომლების მხარდაჭერით შეძლებდა აპლიკაციისა თუ განაცხადის კონკურენტული ფორმის შევსებას.
- საზოგადოებასთან ურთიეთობის ნაკლოვანებები. ეს უკავშირდება საზოგადოებასთან პასუხისმგებელი ადამიანის და კომუნიკაციის გეგმისა და სამიზნეების არ არსებობას; ორგანიზაციის სპიკერთა ვიწრო წრის არსებობას, რაც შესაძლოა აზიანებდეს ორგანიზაციის სოლიდურად, არაერთი პროფესიონალის ერთობად აღქმის მიზანს;
- ოფისის მცირე ფართი და ოფისის ქირის უზრუნველყოფის არასტაბილურობა. ორგანიზაციას საკუთრებაში არ აქვს ოფისი, რაც გულისხმობს, რომ მას გამუდმებით უხდება პროექტებში ოფისის ქირის ხარჯის გათვალისწინება. დაფინანსების სიმწირის პირობებში კი არსებობს ოფისის გარეშე დარჩენის რეალური საფრთხე. , ოფისის მცირე ფართი, ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის თანამშრომელთა ყოველდღიურად ოფისში გამოცხადებას, რაც თავის მხრივ ასევე ართულებს ორგანიზაციული განვითარებისა და გუნდური მუშაობის შესაძლებლობას;
- რეგიონული ოფისების /ფილიალების /წარმოამდგენლობის /ადგილობრივი ქსელის არ არსებობს, შესაბამისად თუ პროექტები ხორციელდება რეგიონში ეს ართულებს საქმიანობას, რადგან დამატებით საჭირა ადგილობრივი პარტნიორების ძიება;

- თანამშრომელთა რაოდენობა მცირეა, ეს უკავშირდება ფინანსების ნაკლებობასა და ნაწილობრივ ოფისის ფართს (მააგლითად, სტაჟორის შემთხვევაში). ეს იწვევს სამუშაოს მოცულობის ზრდას ცალკეულ თანამშრორმლებზე. არ არსებობს თანამშრომელთ განტვირთვისა და გუნდის მშენებლობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი, რაც ნაწილობრივ უზრუნველყოფდა გადაწვის პრევენციას და კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს გუნდური განწყობის შექმნას ორგანიზაციაში. თანამშრომელთა მწირი რაოდენობა ასევე ზღუდავს ორგანიზაციულ კომპეტენციას და არ იძლევა საქმიანობის არეალის უფრო ფართოდ გაშლის შესაძლებლობას.
- მიუხედავად წესდებაში არსებული შესაბამისი ჩანაწერისა, არ მომზადებულა ორგანიზაციის საქმიანობის წლიური ანგარიშები, რაც არ იძლეოდა ორგანიზაციის საქმიანობის შეფასების, ხარვეზების იდენტიფიცირებისა და სამომავლო საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრის შესაძლებლობას;
- სამუშაო დღის და საქმიანობის სტრუქტურირების ნაკლოვანება /ხარვეზი - რაც ნაწილობრივ უკავშირდება ოფისის სივრცეს. ნაწილობრივ ეს ახდენს გავლენას სამუშაოს არათანაბარ განაწილებაზე.